This Project is Funded by the European Union

PARLIAMENT OF GEORGIA

UNDP

Empowered lives.
Resilient nations.

საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერა ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში

შემაჯამებელი ანგარიში

(28 დეკემბერი, 2015 – 16 მაისი, 2016)

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

Open Government Georgia

პროექტის სახელწოდება: საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერა ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში

დონორი: გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის „საქართველოში საპარლამენტო დემოკრატიის სისტემის გაძლიერება“ ფარგლებში

განმახორციელებელი: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

პარტნიორი ორგანიზაცია: საქართველოს პარლამენტი

გრანტის ოდენობა: 45,335.70 აშშ დოლარი

პროექტის ხანგრძლივობა: 28 დეკემბერი, 2015 – 16 მაისი, 2016

შესავალი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ 2015 წლის 17 ივლისს საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის (2015-2016) დამტკიცების შემდეგ, ინტერფრაქციულმა ჯგუფმა და სამოქალაქო საზოგადოების სამუშაო ჯგუფმა დაიწყეს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესი. საქართველოს პარლამენტმა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პირველი ვალდებულება განახორციელა 2015 წლის დეკემბერში, კერძოდ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანით შექმნა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლები ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საბჭოს ფუნქციონირებისათვის. აღნიშნული პროექტის მიზანი იყო საპარლამენტო ღიაობის გაძლიერება და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობაში, ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ფუნქციონირების ხელშეწყობა და საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერა სამოქმედო გეგმის შერჩეული ვალდებულებების განხორციელების პროცესში.

პროექტს ორი კონკრეტული მიზანი გააჩნდა:

მიზანი #1: ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა.

- ➔ საპარლამენტო საბჭოს სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- ➔ საბჭოს მხარდაჭერა სამუშაო ჯგუფების შექმნაში;
- ➔ საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულებების განხორციელების ხელშეწყობა;
- ➔ შუალედური შედეგების წარდგენა.

მიზანი #2: საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერა „საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის (2015-2016)“ შერჩეული ვალდებულებების განხორციელებაში.

აქტივობების მიმოხილვა

პროექტის მიმდინარეობისას პროექტის გუნდმა განახორციელა აქტივობები, რომლებიც შესაბამისობაში იყო პროექტის მიზნებთან და მიზნად ისახავდა საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერას საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში. პროექტის განხორციელებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აქტივობები იყო: ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შექმნა, საპარლამენტო საბჭოს დებულების დამტკიცება, საპარლამენტო საბჭოს შემადგენლობაში სამუშაო ჯგუფების შექმნა, საპარლამენტო საბჭოს მიერ შერჩეული ვალდებულებების კონცეფციების დამტკიცება, პარლამენტის რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტის შემუშავება და საქართველოს პარლამენტის მიერთება ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) დეკლარაციასთან - „ღია მმართველობა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელებისათვის“.

აქტივობების ჩამონათვალი

მიზანი #1: ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა.

- ➔ პროექტის გუნდის აქტიური ადვოკატირების შემდეგ შეიქმნა ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. საბჭოს შექმნის ვალდებულება IDFI-ის ინიციატივაა და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს პარლამენტის მდგრად ჩართულობას ღია მმართველობის პარტნიორობაში. საპარლამენტო საბჭო იქნება ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულებების განხორციელების კოორდინირებისა და მონიტორინგის ეფექტური ინსტრუმენტი.
- ➔ საპარლამენტო საბჭოს პირველი შეხვედრა ჩატარდა 2016 წლის 12 თებერვალს. შეხვედრას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. შეხვედრაზე დამტკიცდა საპარლამენტო საბჭოს დებულება. საპარლამენტო საბჭოს საკონსულტაციო ჯგუფის წევრთა რაოდენობა განისაზღვრა საპარლამენტო საბჭოს ოქმით. საპარლამენტო საბჭოს დებულებით საკონსულტაციო ჯგუფი ყალიბდება სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორის ორგანიზაციებისაგან.
- ➔ შემუშავდა საპარლამენტო საბჭოს სამოქმედო გეგმა და სტრატეგია. 2016 წლის მაისის დასაწყისში შესრულდა სტრატეგიის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი -

საპარლამენტო საბჭოს მდივნის დანიშვნა. საპარლამენტო საბჭოს დებულების თანახმად, საპარლამენტო საბჭოს მდივნის ფუნქციას ახორციელებს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის შესაბამისი უფლებამოსილი პირი.

- ➔ შეიქმნა სამი სამუშაო ჯგუფი: საკანონმდებლო ცვლილებებზე, ტექნოლოგიურ სიახლეებზე და ეთიკის კოდექსზე მომუშავე ჯგუფები. თითოეულ ჯგუფს ჰყავდა კოორდინატორები საქართველოს პარლამენტიდან და სამოქალაქო საზოგადოებიდან. სამუშაო ჯგუფები პასუხისმგებლობას იღებდნენ საპარლამენტო საბჭოს მიერ დაკისრებული ამოცანების შესრულებაზე.
- ➔ საკონსულტაციო ჯგუფის პირველი შეხვედრა ჩატარდა 23 თებერვალს. შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში საპარლამენტო საბჭოს მხარდაჭერის გზები. საკონსულტაციო ჯგუფის წევრებმა შეხვედრაზე თავმჯდომარედ IDFI აირჩიეს.
- ➔ 24-26 თებერვალს სლოვაკეთში ჩატარდა კონფერენცია სახელწოდებით „ღია პარლამენტები, ჩართული მოქალაქეები“. კონფერენციას ესწრებოდა ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე გუგული მაღრაძე და საკონსულტაციო ჯგუფის თავმჯდომარე ორგანიზაციის, IDFI-ის დირექტორი გიორგი კლდიაშვილი. მათ კონფერენციის მონაწილეებს გააცნეს საკანონმდებლო ღიაობის ქართული გამოცდილება და ღია მმართველობის პარტნიორობაში საქართველოს პარლამენტის ჩართულობის პროგრესი.
- ➔ გიორგი კლდიაშვილმა მონაწილეობა მიიღო (Skype-ის საშუალებთ) 2016 წლის საერთაშორისო პარტნიორთა ფორუმში („სოციალური პასუხისმგებლობა განვითარების გავლენისთვის“), სადაც მან ისაუბრა ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულებებზე და იმ ნაბიჯებზე, რაც საქართველოს პარლამენტმა ვალდებულებად აიღო საპარლამენტო ღიაობის გაძლიერების თვალსაზრისით.
- ➔ IDFI-ის დირექტორმა, გიორგი კლდიაშვილმა, ასევე, მიიღო მონაწილეობა აზიის განვითარების ბანკის მმართველი საბჭოს ყოველწლიურ შეხვედრაში, რომელიც ჩატარდა 2-5 მაისს, ფრანკფურტში, გერმანიაში. გიორგი კლდიაშვილი მიწვეულ იქნა პანელში სახელწოდებით „შემცირდება თუ გაიზრდება სივრცე სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისთვის მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში“. საქართველოს გამოცდილებაზე საუბრის დროს მან ხაზი გაუსვა, რომ მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად აუცილებელია სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი პლატფორმის არსებობა, სადაც შესაძლებელი იქნება მოსაზრებების გაზიარება და მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მხარდაჭერა. მისი განცხადებით, სახელმწიფოს გარდა არასამთავრობო სექტორიც უნდა მიუერთდეს ღია მმართველობის პარტნიორების გაერთიანებულ დეკლარაციას მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელების შესახებ. გიორგი კლდიაშვილის განცხადებით, ეს იქნებოდა იმის გამოხატულება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები, მთავრობებთან ერთად, იზიარებენ მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების საერთო ხედვას.
- ➔ პროექტის გუნდმა აქტიურად ითანამშრომლა ღია მმართველობის პარტნიორობასთან საპარლამენტო საბჭოსთვის მხარდაჭერის გაწევის მიზნით. კერძოდ, პროექტის

გუნდმა საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარისთვის მოამზადა 3 ოფიციალური წერილი, რომელიც თავმჯდომარის სახელით გაიგზავნა ღია მმართველობის პარტნიორობის საკანონმდებლო ღიაობის სამუშაო ჯგუფისა და OGP-ის მხარდაჭერის გუნდისთვის. პროექტის გუნდმა, ასევე, მოამზადა წერილი საპარლამენტოს საბჭოს თავმჯდომარის სახელით, რომლის მიზანი იყო საქართველოს პარლამენტის მიერთება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მხარდამჭერ დეკლარაციასთან.

- ➔ საქართველოს პარლამენტი საპარლამენტო საბჭოს მეშვეობით მიუერთდა OGP-ის მდგრადი განვითარების განხორციელების მხარდამჭერ დეკლარაციას. ამ დროისთვის, საქართველოს პარლამენტი არის ერთადერთი საკანონმდებლო ორგანო OGP-ის წევრ სახელმწიფოებს შორის, რომელიც მიუერთდა ამ დეკლარაციას. პროექტის გუნდმა ინგლისურიდან ქართულად თარგმნა „ღია მმართველობის გზამკვლევის სპეციალური გამოცემა: 2030 მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელება“, სადაც გაანალიზებულია OGP-ის წევრი ქვეყნების გამოცდილება მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებით.

მიზანი #2: საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერა „საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის (2015-2016)“ შერჩეული ვალდებულებების განხორციელებაში.

- ➔ პროექტის მიმდინარეობისას ჩატარდა 3 გაერთიანებული შეხვედრა საპარლამენტო საბჭოსა და საკონსულტაციო ჯგუფს შორის, რომელთა შორის 2 იყო გასვლითი სამუშაო შეხვედრა.
- ➔ დასახელებული შეხვედრების გარდა საპარლამენტო საბჭომ ჩაატარა 1 ინდივიდუალური შეხვედრა საკონსულტაციო ჯგუფის წევრების მონაწილეობის გარეშე, ხოლო საკონსულტაციო ჯგუფმა ჩაატარა 2 ინდივიდუალური შეხვედრა საპარლამენტო საბჭოს წევრების მონაწილეობის გარეშე.
- ➔ საპარლამენტო საბჭომ დაამტკიცა პროექტის განმავლობაში განსახორციელებელი ვალდებულებების კონცეფციები. ესენია: ვალდებულება 1.1. - კანონპროექტებზე კომენტარის (ელექტრონულად და/ან წერილობით) დატოვების შესაძლებლობა; ვალდებულება 1.2. - საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადებისა და საკანონმდებლო ინიციატივის ელექტრონული სახით წარდგენის და მოქალაქეთა მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმის დანერგვა პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით; ვალდებულება 2.1. - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საპარლამენტო ინფორმაციაზე წვდომის გამარტივება; ვალდებულება 3.1. - პარლამენტის ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება.
- ➔ შემუშავდა პარლამენტის რეგლამენტში შესატანი ცვლილებები და გაეგზავნა საქართველოს პარლამენტს. აღნიშნული ცვლილებები შექმნის შესაბამის

სამართლებრივ საფუძვლებს საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულებების განხორციელებისთვის.

- ➔ პროექტის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდის მონიტორინგის შედეგად და საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულებების შესაბამისად, პროექტის გუნდმა შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელთა მიზანია პარლამენტის ვებგვერდზე საჯარო ინფორმაციის წვდომის გამარტივება. პარლამენტის ვებგვერდის მონიტორინგის შედეგები ასახავს პარლამენტის ვებგვერდის შესაბამისობას პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებასთან „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“.
- ➔ პროექტის განმავლობაში ღია მმართველობის პარტნიორობის, საპარლამენტო საბჭოსა და საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრებისა და ამ შეხვედრების შედეგების შესახებ გამოქვეყნდა 28 ბლოგი, რომლებიც ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე - https://ogpblog.wordpress.com/.

შეჯამება

პროექტი „საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერა ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში“ არის IDFI-ის მიერ განხორციელებული ერთ-ერთი ყველაზე უფრო შედეგიანი პროექტი, რომლის ფარგლებშიც 4 თვის განმავლობაში პროექტის გუნდმა შექმნა ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ეფექტური ფუნქციონირების საფუძვლები. საპარლამენტო საბჭომ მიიღო პროექტის გუნდის მიერ შემუშავებული ზემოთ დასახელებული ოთხი ვალდებულების კონცეფცია. საკონსულტაციო ჯგუფმა და საპარლამენტო საბჭომ, ასევე, შეიმუშავეს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტი.

საქართველოს პარლამენტის მიერ რეგლამენტში შესატანი ცვლილებების მიღების შემდეგ, საპარლამენტო საბჭოს საკონსულტაციო ჯგუფთან ერთად შეუძლია კოორდინირება გაუწიოს საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ელექტრონული პლატფორმების დანერგვას, რაც მნიშვნელოვანი იქნება ვალდებულებების შემდგომი იმპლემენტაციისთვის.

პროექტის დირექტორი

გიორგი კლდიაშვილი